

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## პროექტზე დაფუძნებული სწავლება, მისი როლი და მნიშვნელობა მოსწავლეთა მოტივაციის პროცესში

ეკატერინე კვიციანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

„სწავლა, განათლება ერის ბედნიერების, კეთილდღეობის ბურჯია... სწავლა,  
ცოდნა, მეცნიერება, - ღონეა იმისათნა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი  
ვერ დაუდგება; ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე“.

ილია ჭავჭავაძე

### რეზიუმე

განათლების სისტემის ეფექტიანობის ზრდისა და ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებას და მისი ეფექტიანობის შეფასებას. შესაბამისად ნაშრომში:

- განხილულია პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის არსი, მისი გამოყენების თავისებურებანი და როლი სწავლების სხვა თანამედროვე, ეფექტური მეთოდების სისტემაში;
- გაანალიზებულია პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების პრობლემები, მოქმედი ფაქტორები, მისი ორგანიზაციის ძირითადი ეტაპები, გამოყენებისათვის აუცილებელი ინტელექტუალური უნარები, პრაქტიკული რეალიზაციის გზები;
- შესწავლილია აღნიშნული მეთოდის პედაგოგიური შესაძლებლობები და დასაბუთებულია, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნების უნარისა და საპროექტო კომპეტენციების განვითარებას.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

*ნაშრომში განხილული საკითხების კვლევა ემყარება თანამედროვე პროგრესული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი და სოციალური მოვლენების მეცნიერული ანალიზის პრინციპებს.*

*საკვანძო სიტყვები: განათლება, სწავლება, ცოდნა, აღზრდა, პროექტი, პროექტით სწავლება, აზროვნება, უნარები.*

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში პროგრესული, ცივილიზებული საზოგადოების ფორმირებაში, შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაში განათლების სისტემა უდიდეს როლს ასრულებს. სწორედ ამიტომ, ოდითგან დაწყებული დღემდე და განსაკუთრებით XXI საუკუნეში, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები განათლების სისტემის ყოველ საფეხურზე სხვადასხვა სახის სწავლების პროგრესულ მეთოდებს იყენებდა და იყენებს. მათ შორის დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რომელიც თანამედროვე სწავლების ერთ-ერთ ინტერაქტიულ მეთოდს მიეკუთვნება. იგი არის დროის მოთხოვნის შესაბამისი მეთოდი, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს სოციალური მოთხოვნა მაღალხარისხიან სწავლასა და სათანადო ცოდნის შექმნაზე. დღეს საგრძნობლად პოპულარული ხდება ვითარდება და ფართოვდება აღნიშნული მეთოდის გამოყენება. მისი მეშვეობით შესაძლებელია თეორიული ცოდნის რაციონალური გამოყენება კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. ამიტომ, მისი უმთავრესი მიზანია მოსწავლის აქტიური სწავლების უზრუნველყოფა მისი პრაქტიკული საქმიანობის გააქტიურების მეშვეობით, რომელიც ორიენტირებული იქნება მის პირად ინტერესებსა და მიღებული ცოდნის გამოყენებაზე მისი შემდგომი საქმიანობის, ცხოვრების პროცესში. ჩვენი აზრით, პროექტით სწავლების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეში არა მარტო საკუთარი თავისადმი რწმენის, კომუნიკაბელობის, პარტნიორობის, ურთიერთთანამშრომლობის გრძნობის გაღვივება, არამედ იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარის ჩამოყალიბებას, რაც შემდგომ ეხმარება მათ კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავებასა და დაძლევაში, სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებაში. შედეგად მიიღწევა განათლების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა. კერძოდ: კრიტიკული ანალიზის, კომუნიკაციური, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ვერბალური და რაოდენობრივი აზროვნების, ცოდნის დამოუკიდებლად

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

შეძენის უნარებისა და მსოფლმხედველობის ფორმირება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს „ცოდნის შეძენის უნარის ფორმირებას (სწავლის სწავლას)“<sup>1</sup>. სწორედ ამიტომ იყო, რომ თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე განათლების, სწავლების პრობლემა, არა მარტო კონკრეტული მკვლევარებისა და სპეციალისტების კვლევის არეალში მოექცა, არამედ ეკლესიის მსჯელობის საგანიც გახდა. “ვფიქრობ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას. ბავშვს უნდა შევასწავლოთ ანალიზი, რათა შეძლოს თავისი საქმის, ნაბიჯების, მშობლების, მეგობრების, სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულების გააზრება. ჩემი აზრით სკოლებში უნდა ვასწავლიდეთ ანალიტიკურ აზროვნებას, როგორც ცალკე საგანს, I კლასიდან XII კლასამდე. თუ მოვლენების სწორად აღქმას ისწავლის ადამიანი, მას ცხოვრება გაუადვილდება. იგი თავიდან აიცილებს მრავალ განსაცდელს.”<sup>2</sup>

მსოფლიოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა სწავლების ახალი პროგრესული მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას. რაც შეეხება პროექტით სწავლების მეთოდის გამოყენების იდეას, იგი თითქმის ერთი საუკუნის წინ გაჩნდა აშშ-ში (XX საუკუნის 20-იანი წლები). მისი ფუძემდებლები იყვნენ ცნობილი ამერიკელი მეცნიერები, პედაგოგები ჯონ დიუი და უილიამ კილპატრიკი<sup>3</sup>. კერძოდ, მეთოდის ფორმირების თეორიულ საფუძვლად ითვლება ჯონ დიუის „პრაგმატული პედაგოგიკა“, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ახალ საგანმანათლებლო თეორიაში, სადაც ფართო ასახვა ჰპოვა განათლების ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებმა<sup>4</sup>. პროექტით სწავლების მეთოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ისრაელში, გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში და სხვა მრავალ ქვეყანაში. იგი წარმატებით

<sup>1</sup>ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა “ინტელექტი”, თბილისი 2012წ. გვ. 13.

<sup>2</sup>ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი “საპატრიარქოს უწყებანი” N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი, გვ. 2.

<sup>3</sup> Боуэн Д. История западного образования. Западная Европа эпохи модерна и Новый Свет. Глава 12. Новая эра в образовании: II. Прогрессивизм в Соединенных штатах Радикальная американская философия: Джон Дьюи и доктрина экспериментализма. [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Pedagog/Bowen/14.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pedagog/Bowen/14.php)

<sup>4</sup>იხ. უ. კილპატრიკის შრომები 1914 და 1916წ. „The Montessory System Examined“; „Froebel Kindergarten Principles Critikally Examined.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

გამოიყენება საქართველოშიც. თუმცა, დღემდე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება და მიდგომა მისი მექანიზმის სპეციფიკასა და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების თავისებურებებთან დაკავშირებით. „პროექტების მეთოდი–პრობლემის (ტექნოლოგიის) დეტალური შემუშავების გზით, დიდაქტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაა, რომელიც უნდა დასრულდეს სრულიად რეალური, საგრძნობი პრაქტიკული შედეგით და გაფორმებული იქნას ამა თუ იმ სახით. იგი მოსწავლეთა განსაზღვრული თანმიმდევრული მეთოდების, ქმედებებისა და ქცევების ერთობლიობაა რათა გადაწყვეტილი იყოს საბოლოო ამოცანა–მოსწავლეთათვის პირადად არსებითი, მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა, რომელიც გაფორმებულია განსაზღვრული, კონკრეტული საბოლოო პროდუქტის სახით“.<sup>5</sup> ასეთი პროდუქტი შეიძლება იყოს: სახელმძღვანელო, გზამკვლევი, ატლასი, ცნობარი, გაზეთი, ჟურნალი, რუკა, გამოფენა, სცენარი, ექსკურსია, თამაში, სოციოლოგიური კვლევის ანალიზი, ვიდეოკლიპი, ვიდეოფილმი, ვებგვერდი, პუბლიკაცია, ბუკლეტი, რეკომენდაციების პაკეტი და სხვა. პროექტებით სწავლების მეთოდის ძირითადი დანიშნულებაა შესაძლებლობა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მიიღონ ცოდნა პრაქტიკული ამოცანებისა და იმ პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სფეროს საგნების ცოდნის ინტეგრაციას. პროექტების მეთოდი, როგორც პედაგოგიური ტექნოლოგია ითვალისწინებს თავისი არსით შემოქმედებითი–კვლევითი, სამიზნო, პრობლემური მეთოდების ერთობლიობას. მასწავლებელს პროექტის ჩარჩოებში ენიჭება მხოლოდ კოორდინატორის, ექსპერტის, კონსულტანტის როლი. თანამედროვე განათლების სისტემამ, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა რადიკალურად შეცვალა მასწავლებლის საქმიანობის პრიორიტეტები, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს არა პირდაპირ სწავლებას, არამედ მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი ძიების, საქმიანობისათვის პირობების შექმნას. ანუ, ასეთ სიტუაციაში სკოლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებს გამოუმუშაოს ცოდნის აქტიური შემოქმედებითი აღქმის უნარი. ჩვენი აზრით, ამისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იქნება სასწავლო პროცესი გავხადოთ უფრო მიმზიდველი და საინტერესო, წარმოვაჩინოთ სკოლაში მიღებული ცოდნის მნიშვნელობა ცხოვრებაში მისი პრაქტიკული გამოყენების მიმართულებით. როგორც ჩინური ანდაზა ამბობს: “მითხარი რამე და

<sup>5</sup>Е.С. Полат. [Метод проектов](https://docs.google.com/document/d/.../e). Новые педагогические и информационные технологии в системе образования : учеб. пособие для студ. пед. вузов и системы повышения квалификации пед. кадров /под ред. Е.С. Полат. М., 2000. <https://docs.google.com/document/d/.../e>.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

დამავიწყდება, მაჩვენე და მე შევძლებ გახსენებას, ჩამრთე და მე ყველაფერს გავიგებ“<sup>6</sup>. მასწავლებელს შეუძლია მიუთითოს ინფორმაციის წყაროები, ან უბრალოდ წარმართოს მოსწავლეთა აზროვნება საჭირო მიმართულებით კვლევისათვის. შედეგად, მათ დამოუკიდებლად და ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაწყვიტონ საჭირო პრობლემა სხვადასხვა სფეროში დაგროვილი აუცილებელი ცოდნის გამოყენებით, რათა მიიღონ სასურველი და საგრძნობი შედეგი. სხვა ჩინური ანდაზა სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „მასწავლებელი გაგიღებს კარს, რომელშიც თავად უნდა შეხვიდე“. ასეთი სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ინტელექტუალური უნარის განვითარება, იმისათვის რომ მათ ქონდეთ თვითრეალიზაციის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. რადგან „ყველა საგნის სწავლების მიზანი ბავშვის გონების გაღრმავებასა და განვითარებაში მდგომარეობს“<sup>7</sup> ხოლო თვით „სწავლება ოპტიმიზმის ყველაზე დიდი გამოვლინებაა“<sup>8</sup>. ამიტომ კონკრეტული სასწავლო პროექტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მოსწავლეთა დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, დამთავრებული სამუშაო პროცესი, რომელიც შესაბამისობაშია მათ ასაკობრივ შესაძლებლობებთან და სრულდება პროექტირების განზოგადოებული ალგორითმის შესაბამისად—პროექტის იდეიდან მის რეალურ განხორციელებამდე. განზოგადოებული განმარტების შედეგად პროექტების მეთოდს განიხილავენ როგორც პედაგოგიურ ტექნოლოგიას, რომლის დასაყრდენია ბავშვების (პედაგოგების, მშობლების) დამოუკიდებელი საქმიანობა (პროდუქტიული, კვლევითი, შემეცნებითი), რომლის პროცესშიც ბავშვი უფროსებთან ერთად შეიმეცნებს გარე სამყაროს და ახდენს ახალი ცოდნის ხორცშესხმას ზემოაღნიშნული რეალური პროდუქტის სახით. ჯონ პიტის განმარტებით „პროექტის მეთოდი მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპებისაგან შემდგარი ალგორითმი კი არაა, არამედ იგი შემოქმედებითი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების მოდელია“<sup>9</sup>. ასეთი პროექტები შეიძლება იყოს კვლევითი, შემოქმედებითი, საინფორმაციო, თამაშის, პრაქტიკულ—ორიენტირებული და სხვა სახის.

<sup>6</sup> **Дрофа Е. В.** Использование ИКТ в методе проектов во внеурочной деятельности в рамках предмета обществознания. [XIII Южно-Российская межрегиональная научно-практическая конференция-выставка "Информационные технологии в образовании"](http://www.evnts.pw), Ростов-на-Дону. [edu.evnts.pw](http://edu.evnts.pw).

<sup>7</sup> დიმიტრი უზნაძე. განწყობის თეორია. [mes.gov.ge/uploads/gegmebi/shesavali.doc](http://mes.gov.ge/uploads/gegmebi/shesavali.doc).

<sup>8</sup> კოლინ უილკოქსი. <https://www.facebook.com/notes/guguli.../239446902909157>.

<sup>9</sup> **Дж. Питт.** Метод проектов в образовании. <https://www.livelib.ru/author/375890/latest>

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**


17 October, 2015, Materials

მთლიანობაში პროექტის მეთოდი თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ფლობს მაღალ პოტენციალურ შესაძლებლობებს განვითარების, სწავლების, აღმზრდელობითი და ფსიქოლოგიური მიმართულებით. ცნობილი ამერიკული სახელმძღვანელოს მიხედვით „პროექტზე/მაგალითზე დაფუძნებული სწავლება სიტუაციური სწავლების ერთ-ერთი ფორმაა (გრინო) და ეყრდნობა კონსტრუქციულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეები ღრმად ცოდნას იღებენ და უკეთ სწავლობენ მაშინ, როდესაც ისინი შესასწავლ მასალას სხვადასხვა მოსაზრების შეჯერებით შეიმეცნებენ..... კვლევებმა აჩვენა, რომ პროექტზე/მაგალითზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩაბმული მოსწავლეები იღებენ უფრო მაღალ შეფასებებს ტესტებში, ვიდრე ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ტრადიციული მეთოდების გამოყენებით“.<sup>10</sup> აქვეა გამოყოფილი პროექტის სწავლების მეთოდის შემდეგი ძირითადი თავისებურებანი: პროექტის დაწყება მთავარი/წარმმართველი კითხვით, საკვლევი პრობლემის გამოკვეთა; მოსწავლეების მიერ დასმული პრობლემის შესწავლა და გაცნობა კვლევისა და ინფორმაციის მოძიების გზით; მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სოციუმის წევრების ერთობლივი საქმიანობა პრობლემის მოგვარების მიზნით; სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; დასმული კითხვის ან პრობლემის გადაჭრის მიზნით მოსწავლეთა მიერ მატერიალური პროდუქტის მთელი სერიის შექმნა. როგორც ვხედავთ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მეთოდმა წლების განმავლობაში გარკვეული ევოლუცია გაიარა, მისი ძირითადი არსი კვლავ უცვლელია: მოსწავლეთა ინტერესების გაღვივება, კონცენტრირება და სტიმულირება კონკრეტულ პრობლემებთან და მის გადაწყვეტასთან მიმართებაში. მას საფუძვლად უდევს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარისა და თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში ორიენტირების მეშვეობით კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების დონის განვითარება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თვით პროექტის რეალიზაციისათვის აუცილებელია მოსწავლეები ფლობდნენ გარკვეულ კომპეტენციებსა და უნარებს (იხ. სქემა-1), რომელიც საჭიროა პროექტით განსაზღვრული კონკრეტული მიზნისა და ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტისათვის.

<sup>10</sup>სწავლების პროცესის ტექნიკური მართვის მეცნიერების პრაქტიკული სახელმძღვანელო. რ. ქეით სოიერის რედაქტირებით. ვაშინგტონის უნივერსიტეტი. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თავი 19. პროექტზე დაფუძნებული სწავლება. გვ.3.

პროექტით სწავლების მეთოდის გამოყენებისას აუცილებელი

ინტელექტუალური უნარები



პროექტით სწავლების მეთოდის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი საფეხურების მიხედვით, კონკრეტულად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ორგანიზაციის ძირითადი ეტაპების შესაბამისად (იხ. სქემა-2).

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

სქემა –2

**პროექტით სწავლების მეთოდის ორგანიზაციის ძირითადი ეტაპები**

<b>მოსამზადებელი სტადია</b>	<p>პრობლემის დასმა, პროექტის თემის, მისი ტიპის, მოსწავლეთა რაოდენობის შერჩევა.</p> <p>(აუდიტორული ჯგუფური და ფრონტალური მუშაობა)</p> <p>მასწავლებლის როლი: მოდერატორი, ფასილიტატორი</p>
<b>შუალედური სამუშაო</b>	<p>პირველი ეტაპი: არსებული გამოვლენილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ძირითადი ამოცანების ფორმულირება და მისი განაწილება ჯგუფების მიხედვით</p> <p>(აუდიტორული ჯგუფური და ფრონტალური მუშაობა)</p> <p>მასწავლებლის როლი: მოდერატორი, ფასილიტატორი</p> <p>მეორე ეტაპი: დასმული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება, კვლევისა და ინფორმაციის მოპოვების შესაძლო მეთოდების შერჩევა.</p> <p>(ინდივიდუალური დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობა)</p> <p>მასწავლებლის როლი: მოდერატორი, ტუტორი</p> <p>მესამე ეტაპი: დასმული ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტა (პირველი ეტაპი) შეთავაზებული მეთოდების გამოყენებით (მეორე ეტაპი)–(ინდივიდუალური სამუშაო). ანუ პროექტის მონაწილეთა დამოუკიდებელი მუშაობა მათი ინდივიდუალური თუ ჯგუფური, კვლევითი, შემოქმედებითი ამოცანების შესაბამისად.</p> <p>მასწავლებლის როლი: კონსულტანტი</p>
<b>დასკვნითი სტადია</b>	<p>პროექტის ძირითადი კვლევითი შედეგების წარმოდგენა–ანგარიშის პრეზენტაცია, დაცვა, ოპონირება, კოლექტიური განხილვა, საქმიანობის შედეგების შეფასება, საბოლოო დასკვნების გაკეთება (ინდივიდუალური, კოლექტიური სამუშაო)</p> <p>მასწავლებლის როლი: ტრენერი, კონსულტანტი.</p>



The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

საბოლოო დასკვნის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ პროექტის მეთოდის ეფექტიანობა და მიმზიდველობა შემდეგში მდგომარეობს: იგი იძლევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საფუძვლებს; მისი მიზანია ბავშვების მიერ შესწავლილი თეორიული საკითხების პრაქტიკაში გამოყენება. პროექტზე ინდივიდუალური მუშაობა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის განვითარების საკუთარ დონეს, მისი ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების უნარის ფორმირებას. კერძოდ, ბავშვს პროგრამულად უვითარდება ჯგუფში მუშაობის უნარი, მას შეუძლია მიიღოს და სხვას აღმოუჩინოს დახმარება, წაიყვანოს გაკვეთილი ან მისი ნაწილი, ჩამოაყალიბოს პროექტის შინაარსობრივი ნაწილი, გააფორმოს მისი შედეგი (მოხსენება, რეპორტაჟი, პრეზენტაცია და სხვა), განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საინფორმაციო წყაროებზე (ცხრილები, დიაგრამები, სახელმძღვანელოთა ილუსტრაციები, ცნობარები, ლექსიკონები და სხვა) მუშაობის ჩვევების გამომუშავება. რაც, ჩვენი აზრით საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მოსწავლის ჰარმონიულ აღზრდას, რომლის ქვეშ „მოიაზრება პიროვნების გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდა“<sup>11</sup>.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ პროექტით სწავლების მეთოდის ეფექტიანობა და ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თითოეული პედაგოგის ძალისხმევასა და დაინტერესებაზე. კერძოდ, მასწავლებელმა პროექტით სწავლების მეთოდის გამოყენებისას უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და მოსწავლეთა მოტივაცია (იხ. სქემა-3), განსაზღვროს თუ კონკრეტულად რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა პროექტზე მუშაობის შედეგად, შეძლოს რთული მოვლენების ასახსნელად მარტივი მაგალითების გამოყენება, საკვლევი პრობლემების გააზრების მიზნით წარმოადგინოს სიტუაციის პრეზენტაციის შესაძლო მეთოდები, მოახდინოს სამუშაოს ორგანიზება ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში, ფლობდეს განხილვის ორგანიზაციის მეთოდებს, ახდენდეს დასკვნების არგუმენტირებას, ეწეოდეს კონსულტაციებს, გააჩნდეს ობიექტური შეფასების კრიტერიუმები.

<sup>11</sup>ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა “ინტელექტი”, თბილისი 2012წ. გვ. 154.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

სქემა –3

**პროექტით სწავლების მეთოდის პედაგოგიური შესაძლებლობები**

1	ახორციელებს სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომის რეალიზაციას
2	ორიენტირებულია პრობლემური სწავლების პრინციპებზე
3	დაფუძნებულია ინდივიდუალურად კონცენტრირებული სწავლების პრინციპზე
4	უზრუნველყოფს სწავლებისადმი შინაგანი მოტივაციის განვითარებას
5	უზრუნველყოფს მოსწავლეთა კონსტრუქციული კრიტიკული აზროვნების განვითარებას
6	<p>უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემდეგი ძირითადი კომპეტენციების განვითარებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრობლემატიზაციის უნარს;</li> <li>▪ მიზანმიმართულობას;</li> <li>▪ საქმიანობის დაგეგმვა;</li> <li>▪ თვითანალიზი და რეფლექსურობა;</li> <li>▪ შედარება, ანალიზი, სინთეზი, პროგნოზირება;</li> <li>▪ საჭირო ინფორმაციის (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე) დამოუკიდებელი მოძიება, დამუშავება, შენახვა და პრაქტიკული გამოყენება;</li> <li>▪ დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის შედეგების პრეზენტაცია;</li> <li>▪ კომუნიკაბელობა და ტოლერანტულობა.</li> </ul>

ზემოაღნიშნული კვლევიდან გამომდინარე ასევე ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლების ყველა მეთოდის და განსაკუთრებით პროექტზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენების დონე და მისი საბოლოო შედეგები განსაზღვრულია მშობლის, მაწავლებლის, მოსწავლეების ერთობლივი საქმიანობით, ძალისხმევით და მოტივირებით, რათა მოსწავლეებმა მიიღონ თანამედროვე გლობალური სამყაროს შესახებ ადეკვატური ცოდნა, განათლება, რომელიც რეალურად დაეხმარებათ მათ წინაშე არსებული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაში. როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „სწავლა, განათლება ერის ბედნიერების, კეთილდღეობის ბურჯია... სწავლა, ცოდნა, მეცნიერება, - ღონეა იმისთანა,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

რომელსაც დღეს წინ ვედარაფერი ვერ დაუდგება; ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე<sup>12</sup>.

პროექტით სწავლების მეოდის ეფექტიანობის შეფასებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტული პროექტის შეფასების შემდეგი პარამეტრები: წარდგენილი პრობლემის მნიშვნელობა და აქტუალობა, მისი ადექვატურობა შესასწავლ თემატიკასთან მიმართებაში; კვლევის შედეგების დამუშავების მეთოდების კორექტულობა; პროექტში მონაწილე თითოეული მოსწავლის აქტიურობა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად; მიღებული გადაწყვეტილებების კოლექტიური ხასიათი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში; პროექტში მონაწილეთა ურთიერთობების ხასიათი, ურთიერთდახმარება; პრობლემის გათვითცნობიერებისა და სიღრმისეული შესწავლის აუცილებელი და საკმარისი დონე, სხვა სფეროს დარგების ცოდნის გამოყენება; მიღებული გადაწყვეტილებების მტკიცებულება, საკუთარი დასკვნების, წინადადებების არგუმენტირების უნარი; განხორციელებული პროექტის შედეგების გაფორმების დონე, უნარი; ოპონენტების კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი, ჯგუფის თითოეული წევრის პასუხების ლაკონიურობა და არგუმენტირება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი “საპატრიარქოს უწყებანი” N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი.
2. დიმიტრი უზნაძე. განწყობის თეორია. mes.gov.ge/uploads/gegmebi/shesavali.doc.
3. მიხეილ მჭედლიშვილი. ილია ჭავჭავაძისა და მის გარშემო შემოკრებილი თერგდალეულთა დასის მამულიშვილური ბრძოლა ქართული ეროვნული მეობის გადასარჩენად. <https://iberiana.wordpress.com/m-mchedlishvil/m-mchedlishvili-6/>.
4. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა “ინტელექტი”, თბილისი 2012წ.
5. ინასარიძე მ. ლობჯანიძე ს. რატიანი მ. სამსონია ი. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის

<sup>12</sup>მიხეილ მჭედლიშვილი. ილია ჭავჭავაძისა და მის გარშემო შემოკრებილი თერგდალეულთა დასის მამულიშვილური ბრძოლა ქართული ეროვნული მეობის გადასარჩენად. <https://iberiana.wordpress.com/>.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- გზამკვლევი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. განათლების პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი 2015 წელი.
6. ეროვნული სასწავლო გეგმები 2011-2016. <https://sites.google.com/>.
  7. სასწავლო პროექტის დაგეგმვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. [www.tpdg.ge/uploads/news/sascavlo\\_procesis\\_dagegmva.pdf](http://www.tpdg.ge/uploads/news/sascavlo_procesis_dagegmva.pdf)
  8. საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. [www.mes.gov.ge/uploads/gegmebi/12.iccteqnologiebi.doc](http://www.mes.gov.ge/uploads/gegmebi/12.iccteqnologiebi.doc)
  9. როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი – გზამკვლევი მასწავლებლებს. ინტერნეტგაზეთი 23.02.2016წ. [mastsavlebeli.ge](http://mastsavlebeli.ge)
  10. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი 2007. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge).
  11. სწავლების პროცესის ტექნიკური მართვის მეცნიერების პრაქტიკული სახელმძღვანელო. რ. ქეთ სოიერის რედაქტირებით. ვაშინგტონის უნივერსიტეტი. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თავი 19. პროექტზე დაფუძნებული სწავლება.
  12. იხ. უ. კილპატრიკის შრომები 1914 და 1916წ. „The Montessory System Examined“; „Froebel Kindergarten Principles Critikally Examined.
  13. კოლინ უილკოქსი. <https://www.facebook.com/notes/guguli.../239446902909157>.
  14. Боуэн Д. История западного образования. Западная Европа эпохи модерна и Новый Свет. Глава 12. Новая эра в образовании: II. Прогрессивизм в Соединенных штатах Радикальная американская философия: Джон Дьюи и доктрина экспериментализма. [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Pedagog/Bowen/14.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pedagog/Bowen/14.php)
  15. Е.С. Полат. [Метод проектов](#). Новые педагогические и информационные технологии в системе образования: учеб. пособие для студ. пед. вузов и системы повышения квалификации пед. кадров /под ред. Е.С. Полат. М., 2000. <https://docs.google.com/>.
  16. [Дрофа Е. В.](#) Использование ИКТ в методе проектов во внеурочной деятельности в рамках предмета обществознания. [XIII Южно-Российская межрегиональная научно-практическая конференция-выставка "Информационные технологии в образовании"](#), Ростов-на-Дону. [edu.evnts.pw](http://edu.evnts.pw).
  17. [ДЖ. Питт.](#) Метод проектов в образовании. <https://www.livelib.ru/author/375890/latest>.